საქართველოს მოსამართლეთა XXIII რიგგარეშე კონფერენცია

24 მარტი, 2018 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №19)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

11:00 - 12:00 სთ. - მოსამართლეთა რეგისტრაცია

1. 12:00 - 12:05 სთ.

კონფერენციის გახსნა და საგანგებოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის მიერ მოსამართლეთა ინფორმირება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისა და ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის (თავმჯდომარის) ლევან თევზაძისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ არჩევის გამო.

2. 12:05 – 12:10 სთ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე. კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს.

(„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება.)

3. 12:10 – 12:15 სთ.

მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის კანდიდატების დასახელება. კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს.

(*მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 1 წევრს (თავმჯდომარეს) ლევან თევზაძეს ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის (თავმჯდომარის) უფლებამოსილება შეუწყდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ არჩევის გამო.*

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.)

4. 12:15 - 12:30 სთ.

ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით *(ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით)*

5. 12:30 - 13:30 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) მოსამართლე წევრისა და ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა, I ტური - (*ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით).*

6. 13:30 - 14:30 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) მოსამართლე წევრისა და ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა, II ტური - (*საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით. კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები.)*

14:30 - 15:30 სთ. - სადილი.

7. 15:30 - 16:30 სთ.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებიდან ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა (I ტური - ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით)

8. 16:30 სთ.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებიდან ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა, II ტური - *(საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით. კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები).*

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 6

ქ. თბილისი 24 მარტი, 2018 წ.

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის თაობაზე“ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2015 წლის 11 ივლისის №1 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის შესაბამისად

ა დ გ ე ნ ს:

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის - ლევან თევზაძის მიერ წარმოდგენილი განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე (დანართი: 1 ფურცელი).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2015 წლის 11 ივლისის №1 დადგენილება ლევან თევზაძის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის თაობაზე.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 24 მარტიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციულ კომიტეტს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის
ლევან თევზაძის

განცხადება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ არჩევის გამო, გთხოვთ, შემიწყვიტოთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

პატივისცემით,

ლევან თევზაძე

27.02.18

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტი
№06-3-18 ფურცლების რაოდენობა 13
27.02.18
მიღების თარიღი ხელმოწერა დრო

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დადგენილება № 1

11 ივლისი 2015 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის

არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე, 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ადგენს:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ლევან თევზაძე.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 30 ივლისიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა № 7

ქ. თბილისი 24 მარტი, 2018 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის

არჩევის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე თამარ ონიანი.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 25 მარტიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 8

ქ. თბილისი 24 მარტი, 2018 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დიანა ფარქოსაძე.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 24 მარტიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 9

ქ. თბილისი 24 მარტი, 2018 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ირაკლი კოპალიანი.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 24 მარტიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე